საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/51

ქ. ბათუმი 24 ოქტომბერი, 2014წ.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის და 25-ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 16 ნოემბრის # 125 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს აკადემიურ საბჭოში თითოეული ფაკულტეტიდან (9-ცხრა ფაკულტეტი) და ინსტიტუტიდან (3-სამი ინსტიტუტი) არჩეულ იქნეს თითო-თითო წარმომადგენელი, სულ 12 წევრი;
2. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს არჩევნები ბსუ-ს ფაკულტეტებიდან ჩატარდეს 2014 წლის 13 ნოემბერს (არჩევნები -კენჭისყრა იწყება 10 საათზე და მთავრდება 17 საათზე), ხოლო სამეცნიერო კვლევითი ერთეულებიდან - 2014 წლის 14 ნოემბერს (კენჭისყრა დაიწყება 15 საათზე და დამთავრდება 17 საათზე).
3. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან შესაძლებელია არჩეული იქნეს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან - ამ ერთეულის ადმინისტრაციული ან სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი;
4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახი N3) 2014 წლის 29 ოქტომბრიდან – 2014 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე;
5. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
6. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებსა და ინსტიტუტის დირექტორებს დაევალოთ არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახების გამოყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2014 წლის 07 ნოებრის ჩათვლით ბსუ-ს წესდების 45-ე მუხლის შესაბამისად.
7. ბრძანება ჩაბარდეთ ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებსა და ინსტიტუტების დირექტორებს.
8. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**